გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია" 1-ლ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (6—4)

## „ივერია"

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს.

ქართულ დრამატ. საზოგად. არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა

**პარიჟის ღატაკნი**

დრამა 5 მოქ. პროლოგით და ეპილოგით ქართულ სცენისათვის შემოკლებული თარგ. **ვალ. გუნიას** მიერ

პირველ მოქმედებაში შესრულებული იქნება კათოლიკეთა საღმრთო სიმღერა ი. აღნიაშვილის ლოტბარობით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, ტარიელოვისა, მძინაროვისა (ახალი) სარიძისა, რჩეულოვისა. ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, გუნია, მჭედლიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

შეგირდებისთვის კუპონები ლოჟაში 60 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ

მზადდება წარმოსადგენად: „ისპანიელი აზნაური", „გამოურკვეველი ოცნებანი", „ზოგი ჭირი მარგებელია" და სხვ.


ტფილისი 5 ოქტომბერი

მოახლოვდა დრო ახალის სამხედრო კანონის განხილვისა, იმ სამხედრო კანონისა, რომელიც შეიმუშავა გრაფმა კაპრივიმ*). როგორც იცის ჩვენმა მკითხველმა, ამ კანონის ძალით, სამხედრო სამსახურის ვადა ორ წლამდის იქმნება შემცირებული, ჯარის რიცხვს მიემატება 95,000 კაცი. კანონის განხორციელებას პირველად მოუნდება 100 მილიონამდე მარკა და შემდეგ ყოველ წლივ დასჭირდება 60 მილიონამდე. ახალი კანონი გულს უხეთქავს გერმანიის მკვიდრთ. სული ამოგვძვრა, ლამის გავწყდეთ, ამდენს ხარჯს ვეღარ ავიტანთ და სულით ხორცამდე დავიღუპებითო.

ჟურნალ-გაზეთობა, გამომხატველი საზოგადო აზრისა, მტრულად მიეგება ახალ სამხედრო კანონს. რა საჭიროება მოითხოვს, რომ ჯარებს ვუმატებთო? ყველგან მშვიდობიანობაა, ყველასა ჰსურს დამშვიდებული ცხოვრება და მაშ რისთვის გვიმატებთ ხარჯს. განა სამშობლოს, ჩვენს საყვარელს გერმანიას საშიში რამ მოელისო? ფულის საშოვნელად, ასე გასინჯეთ, მთავრობა იმასაც-კი არ ერიდება, რომ ლუდს ბაჟი მოუმატოს.

გაზეთები იმასაც ამბობენ დაჟინებით, რომ გრაფ კაპრივის და ფინანსთა მინისტრს მიქელს უთანხმოება მოუხდათ ახალის სამხედრო კანონის გამო. მიქელი ჭკვიანი და მოხერხებული მინისტრია, პრუსიის აწეწილ-დაწეწილი ფინანსები ძლივ-ძლიობით წესსა და რიგში მოიყვანა დიდს შრომის შემდეგ და შემოსავლის კვალობაზედ გასაწერ ხარჯის აკრეფა განაკარგა. ისე სამართლიანად არსად იკრიფება ეხლა ხარჯი მიქელის წყალობით, როგორც პრუსიაში. როცა საქმე ასე მოიყვანა მიქელმა, ახალი სამხედრო კანონი წამოაყენეს, რომელიც ხელმეორედ ასწეწავს ფინანსებს. მერმისისთვის დეფიციტი მოელის პრუსიას და აბა რად იამება მიქელს ამ გვარი განკარგულება მთავრობისა. მარტო მიქელი არ არის დაღონებული კაპრივის მიერ შეთხზულ სამხედრო კანონით. გერმანიის წვრილმანი სახელმწიფონიც ტაშის ცემით არ ეგებებიან ამ კანონს. ასე გასინჯეთ, მთავრობის მომხრე გაზეთებიც თავ-შეკავებით და ენაკვნეტით ლაპარაკობენ ახალ კანონის შესახებ. ეტყობა, სამუდამოდ წავიდა დრო თ. ბისმარკისა, როცა ყოველ იმის კანონს იწყნარებდა რეიხსტაგი.

შარშან კაპრივი დამარცხდა, სასკოლო პროექტი არ იქმნა შეწყნარებული; თუ ამ შემოდგომაზედ სამხედრო კანონსაც ისეთივე ბედი ხვდა, როგორიც სასკოლოს, მაშინ უეჭველია, კაპრივის კანცლერობას დღენი დაეთვლება.

გერმანიის იმპერატორი ეწვია ამ დღეებში ავსტრიისას. გაზეთები ლაპარაკობენ, რომ ამ დარბაზობას დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობა ექმნებაო. ამ უკანასკნელ დროს ჩეხიის ორატორები მწარედ ჰკიცხავდნენ ავსტრიის პოლიტიკას: გერმანიასთან კავშირი გვღუპავს, ჩვენთვის სახეირო არ არის, ჩეხიას ხელს უშლის, მოიპოვოს სახელმწიფო უფლებანი და სხვ. უეჭველია ორს გვირგვინოსანს მეფეს, გერმანიისა და ავსტრიის იმპერატორებს, ამ საგნის შესახებ ექნებოდათ მოლაპარაკება.

მეორე საყურადღებო ამბავი პოლიტიკაში გერმანელ სოციალისტების მეთაურისა და რეიხსტაგის დეპუტატის ლიბკნეხტის მისვლაა საფრანგეთს. თვით გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს სურდა პარიჟის ნახვა, მაგრამ ვერ მოახერხა. ისეთი ვაივაგლახი ასტეხეს საფრანგეთის გაზეთებში, რომ იმპერატორი იძულებული გახდა თავი დაენებებინა ამ აზრისათვის.

*) 3 ოქტომბერს ღამის დეპეშამ უკვე მოგვიტანა ამბავი, რომ ეს კანონ-პროექტი უკან წაუღია მთავრობას.

# ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა

V*)

დასასრულ პატივი მაქვს ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას, რომ განვიზრახეთ დავაარსოთ ზემო-აღწერილ სისტემის პირველი სანიმუშო დეპო-კასა სიღნაღის მაზრის სოფელ ქვემო-მაჩხაანში, რომელსაც გარს არტყია თერთმეტი სოფელი: ბოდბის ხევი, ფანიაანი, ჯუგაანი, ტიბაანი, პრასიაანი, ოზაანი, ცლუნკაანი, კოტაანი, მირზაანი, არბოშიკი და ზემო-მაჩხაანი. ამ თორმეტ სოფელში (ქვემო-მაჩხაანითვე) 4,000 კომლია, რომელთა შუა ბაზრად ითვლება ქვემო-მაჩხაანი, სადაც 36 დუქანია სხვადა-სხვა ვაჭრობისა და ხელოსნობისა. გარდა ქვემო-მაჩხაანის ბაზარ-დუქნებისა, ხსენებულს სოფლებშიაც მოიპოვება დუქნები, დაიარებიან სოფლი-სოფლად ვაჭარ-ჩარჩები და ხშირად სოფლელები მიდიან სავაჭროდ სიღნაღშიაც, რომელიც მდებარეობს 7—8 ვერსის სიშორეზედ. 4,000 კომლის თითოეულმა ოჯახმა რომ ერთმანეთზედ სულ მცირედ 20 მანათის სავაჭრო იყიდოს პირველ წელიწადს, თავისს საკუთარს დეპოში წლიური ნავაჭრი შეადგენს 80,000 მანათს და ამის მოგება (10%)—8,000 მანათს. 4,000 მანათი გაუძღვებოდა ძირეულ თანხის სარგებელს თუ სხვა ხარჯებს და დანარჩენი 4,000 მანათი დაუარსებდა ექვსს სკოლას ხსენებულს თორმეტს სოფელს. შემნახველ-გამსესხებელ კასსის მოგება და მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის საშუამავლოც იმავე 4,000 კომლის გონება-ქონების გამდიდრებას მოჰხმარდებოდა. და როდესაც დეპო-კასა თავის მრევლში ნდობა-სიყვარულს დაიმსახურებდა და მთელის მრევლის აღებმიცემა იმის კრიჭაში გამოივლიდა, მაშინ ხომ შუათანა და უმაღლესის სასწავლებლის დაარსებაც შეიძლებოდა; რა ნივთიერ კეთილდღეობაშიაც იქნებოდა ხალხი ამ სისტემის დეპო-კასის წყალობით, ამაზედ საკმარისად მოგახსენებთ. ვიდრე ამ ახალ საქმის სიკეთეს შეიგნებს მდაბიო ხალხი, საჭიროა წინაპირველად დაეხმაროს ამ საქვეყნო საქმის ფეხის ადგმას ყველა ის, ვინც-კი ჩვენის ქვეყნის გონება-ქონების წარმატებას წრფელის გულით თანაუგრძნობს და არა ისე, როგორც ფარისევლები, ცარიელა სიტყვით რომ მზად არიან სიცოცხლეც დავრდომილს მოძმეს შესწირონ და როცა სიტყვა საქმეზედ მივარდება—მაშინ-კი ჯოჯოხეთის ლოდებად იქცევიან ხოლმე, შურითა და ღვარძლით სავსენი.

„წადილი იყოს, თორემ შეძლება ყოველთვის იქნებაო", სთქვა პოეტმა და მართლაც თუ გული გულობს, ერთის თუმნის საწევრო ფულის გამოღება, ყველას თუ არა, ბევრს შეუძლიან საქვეყნო კეთილ საქმის განსახორციელებლად. ქვემო-მაჩხაანის სანიმუშო დეპო-კასას ეყოლება საპატიო დამხმარებლები (აგენტები), რომელნიც მიიღებენ სათანხო ფულებს თანამგრძნობლებისაგან და დროგამოშვებით აცნობებენ „ივერიის", „მეურნის", „ნოვოე ობოზრენიის" და „კავკაზის" ერთ-ერთს რედაქციას თანხის ფულის გამომღებლების სახელ-გვარს. შეიძლება ხსენებულსავე რედაქციებს გამოუგზავნონ მსურველთ სათანხო ფული ქვემო-მაჩხაანის დეპო-კასისათვის. ძირეულ თანხად საკმარისი იქმნებოდა ჯერჯერობით 15,000 მანათი. რაც შეეხება თანხის ფულის სარგებელს, მისის მოწილეების უზრუნველ-ყოფას, დეპო-კასის მწარმოებლების ამორჩევას, საქმის დაწყებას, წარმოებას და ბევრს სხვას—ყველა ეს დაექვემდებარება ზემო-აღწერილს სისტემის დეპო-კასების წეს-წყობილებას.

ქვემო-მაჩხაანის სანიმუშო დეპო-კასას ეყოლება საპატიო მოღვაწე-დამხმარებლები შემდეგს ადგილებში: სიღნაღის მაზრაში: მაზრის მარშალი თ. ი. რ. ანდრონიკაშვილი; სიღნაღში: ბლ.-დეკანოზი ს. ბეგიაშვილი, ნ. გამრეკელი, კ. ბაღაშვილი, ვ. ქიტიაშვილი, ა. მაჭავარიანი, ზემო-მაჩხაანში: ბლაღ.-დეკანოზი ს. ბენაშვილი; ბოდბის-ხევში: მღ. ნ. მაღალდაძე, მღ. ა. ბენაშვილი, შ. ნაცვლიშვილი; ფანიაანში: მღ. ი. ბერიშვილი, მასწ. ი. ჯალიაშვილი; ჯუგაანში; მღ. ა. შანშიშვილი, ი. მატიაშვილი; ტიბაანში მღ. ი. ჯამასპიშვილი; მირზაანში: მასწ. ს. უტურაშვილი, ი. გომელაური; არბოშიკში: ო. ყიასაშვილისა, მღ. ტ. გონაშვილი; ოზაანში: მღ. ი. იაშვილი; ქვემო-მაჩხაანის საბოქაულოში: ბოქაული გ. პაიჭაძე; ქვემო-მაჩხაანში: ლ. ზარაფიშვილისა, მღ. ვ. მენთეშაშვილი, მასწ. დ. ჯავაშვილი; კაქირში: მღ. ი. ტუკუშაშვილი, მღ. ს. შანშიშვილი, მასწ. ი. კაპანაძე; კარდენახში: მღ. ა. ეპიტაშვილი, მასწ. ა. ჩახნაიშვილი; გურჯაანში: მღ. პ. კარბელაშვილი, მასწ. ს. ყანჩაველი: ზაკურცისხეში: მასწ. ი. შანშიშვილი; ველისციხეში: მღ. ი. ხატიაშვილი, მასწ. მ. რცხილაძე; ბოდბეში: მღ. ა. ბაღაშვილი, მასწ. თ. ასათიანი; მანავში: ი. ნასიძე, მასწ. გ. ჭრელაშვილი; ანაგაში: ბ. მირიანაშვილი; საქობოში: ვ. ჯანიკაშვილი; პატარძეულში: მასწ. ი. მენთეშაშვილი; კაკაბეთში: მასწ. დ. პეტრიაშვილი; გიორგი-წმინდაში: მასწ. გ. გულისაშვილი.

თელავის მაზრაში: მაზრის მარშალი თ. ი. ჯორჯაძე; თელავში: ო. ყინაშვილისა, ქ. და ი. ზარაფიშვილები; ახმეტაში: ბოქაული ი. გომელაური; ნაფარეულში: ა. დარეჯანაშვილი; ყვარელში: ბლაღ.-დეკანოზი ხუციშვილი, მასწ. ს. მათიკაშვილი; ახალ-სოფელში: მღ. ა. მირიანაშვილი; კონდოლში: მღ. ი. ხატიაშვილი; ენისელში: მასწ. ნ. ხატიაშვილი; შილდაში: მასწ. ვ. სულხანიშვილი: საბუეში: მასწ. დ. ხატიაშვილი, გორის მაზრაში: მაზრის მარშალი ი. სულხანიშვილი; გორში: მღ. ტურიაშვილი, მასწ. ს. მგალობლიშვილი; ახალციხეში. მღ. დ. ხახუტაშვილი; ცხინვალში; მასწ. თ. კანდელაკი; ძველ-სენაკში: ს. ყოფიანი; ზუგდიდში: ბ. ჭილაძე; კაკაბაკში: მასწ. ი. ბედელაძე; ქუთაისში: გუბერნიის მარშალი თ. ზ. გ. წერეთელი, თ. კირ. ლორთქიფანიძე, ა. ნანეიშვილი, ა. გარსევანიშვილი, ან. ბენაშვილი; ოზურგეთში: მაზრის მარშალი თ. ს. დ. გუგუნავა, ლ. წულაძე, მასწ. ი. გომელაური; ხონში: მასწ. გ. უთურგაული; ბათუმში: გრ. ვოლსკი; ფოთში: მღ. გ. მაჭარაშვილი; სოხუმში: მასწ. ან. ჯუღელი.

ვსთხოვთ სხვებსაც, ყველა კეთილ საქმის მოყვარეთა, დახმარება გაუწიონ ყველგან სიტყვით თუ საქმით ხსენებულ სისტემით დეპო-კასების განხორციელებას ქვეყნის საშველად და საკეთილოდ.

დ. მაჩხანელი

*) დასასრული იხ. „ივერია", № 206.

სულ სხვა ნაირად მიიღეს ლიბკნეხტი ფრანგებმა მარსელში. ლიბკნეხტმა სთქვა: ჩვენ ძმები ვართ, თუმცა-კი ფრანგ-გერმანიის 1870 წლის ომმა სისხლის მდინარე ადინა ჩვენ შორისო. ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავით მთავრობისა წარსულის ომის გულისათვის და ეხლაც ვეწინააღმდეგებით მთავრობას, რომელმაც ორი განათლებული და ძმა ერთიერთმანეთს გადაჰკიდაო. ლიბკნეხტის სიტყვა მარსელელებმა დიდის სიამოვნებით მოისმინეს და ბევრი ტაშიც დაუკრეს ორატორს.

ამას შემდეგ ლიბკნეხტმა უცბად დასტოვა საფრანგეთი და დაბრუნდა გერმანიაში. ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, რომ ლიბკნეხტი გააძევეს საფრანგეთის საზღვრიდგან ზოგნი-კი იმას ამბობენ, რომ ლიბკნეხტი თავის ნებით წავიდა და ხელი არავის უხლია იმისათვისაო.

ამ ამბავში სასაცილო და საკვირველი მხოლოდ ისაა, რომ კაცს დაჭეშმარიტებით ვერ შეუტყვია, ლიბკნეხტი ძალით გაისტუმრეს საფრანგეთიდგან, თუ ფიცხი ორატორი თავის ნებით დაბრუნდა სამშობლოში.

ა. ფრონელი

## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ხოლერის მგზავს საეჭვო ავადმყოფობით გახდა ავად 1 ოქტომბერს სტანისლავ ანტონის ძე ფონ-ერენფელდ დე-გაასი, 31 წლისა (მე-4 ნაწილი, კუთხე სოლოლაკისა და რტიშჩევის ქუჩისა, სახლი კოვალიოვის ქალისა). ავადმყოფს სახლში სწამლობენ.

ახალციხეს 24 სექტემბერს გახდა ავად, ხოლო 26 გარდაიცვალა ერთი დედაკაცი.

თელავის მაზრაში 15 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე სოფელ ახალსა და ძველს გავაზში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 7, დანარჩენნი მორჩნენ; სოფ. იყალთოს ავად გახდა 8, გარდაიცვალა 5, დანარჩენნი მორჩნენ.

## ახალი ამბავი

*** დღეს ტფილისში მოელიან კავკასიის მთავარ-მართებელ გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევის ჩამობრძანებას.

*** კვირას, 4 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა მესამე წარმოდგენად დასდგა ორიგინალური დრამა ვ. გუნიასი „და-ძმა“ და ახალი ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“. წარმოდგენაში წრეულს პირველად მონაწილეობას იღებდა ბ-ნი გ. ყიფიანი. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც საკმაოდ დაესწრო. პირველ პიესის შესახებ არას ვიტყვით, რადგან არა ერთხელ წარმოდგენილა იმავე არტისტების მონაწილეობით. რაც შეეხება რუსულიდგან გამოთარგმნილ-გადმოკეთებულს ხუმრობა-ვოდევილს „არც აქეთ, არც იქით“, ამ ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა და საზოგადოებაც ძალიან ასიამოვნა ბ-ნმა ვ. აბაშიძემ, რომელიც უმთავრესს როლსა თამაშობდა ამ პიესაში. კარგი იქნება, რომ წარმოდგენას ცოტა ადრე ათავებდნენ. გუშინ-წინ, მაგალითებრ, თითქმის პირველი საათი იყო, როდესაც წარმოდგენა გათავდა. შემდეგი წარმოდგენა ქართულის დრამატიულს დასს ექმნება ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს, წარმოადგენენ დრამას: „პარიჟის ღატაკნი“.

*** ჩვენს მკითხველებს უნდა ახსოვდეთ საქმე ბ-ნ თეოფილია სტანისლავის ასულის ბორისოვისა, რომელმაც ამ რამდენისამე ხნის წინად თავისს ქმარს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეს ბორისოვს, რევოლვერი ესროლა. ქ-ნი ბორისოვისა მაშინ სამართალში მისცეს და სასამართლომ ყოველივე განსაკუთრებული, პირადი და ქონებრივი უფლებანი და უპირატესობანი ჩამოართვა და ტომსკის გუბერნიაში გაგზავნა გადაუწყვიტა. ამ კვირია უკვე მოვიდა ტფილისში ქაღალდი, რომლიდგანაც სჩანს, რომ ხელმწიფე იმპერატორს 17 სექტემბერს უმაღლესად განუთავისუფლებია ქ-ნი თ. ს. ბორისოვისა ყოველისავე ამ სასჯელისაგან.

*** ამ დღეებში ტფილისს დაბრუნდა მკურნალი მ. ვ. ლუნკევიჩი, რომელიც სპარსეთს იყო გაგზავნილი, რათა შეეტყო, მართალია, თუ არა ის ხმა, რომ სპარსეთს ჟამი გაჩნდაო. ლუნკევიჩმა გამოიძია ეს საქმე და აღმოჩნდა, რომ ეს ხმები ტყუილი ყოფილა და სპარსეთს არავითარი ჟამი არ გაჩენილა.

*** ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს, ტფილისის სასანიტარო მკურნალებმა: სტეფანოვმა, თარხნიშვილმა და გონიევმა გასინჯეს სურბ-კარაპეტის აღმართში ალექსიძეს სახლი, რომელშიაც სამი კაცი გახდა ავად სხვა-და-სხვა დროს და გადაწყვიტეს, რომ ეს სახლი უეჭველად უნდა დაიკეტოსო. მკურნალებმა ოქმი შეადგინეს ამის შესახებ და პოლიციას გადასცეს. პოლიციამ მდგმურებს დააყვალა, სახლი დასცალეთო.

*** სიონის ტაძრის დეკანოზი ესტატე ელიაშვილი უწმიდესის სინოდის ბრძანებით დანიშნულ იქმნა სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის წევრად.

*** კვირას, 4 ოქტომბერს, დიდუბის მინდორში მეორედ გაიმართა დოღი. მეორე დოღს უფრო მეტი ხალხი დაესწრო, ვიდრე პირველს. დაესწრნენ: გენერალ-ლეიტენანტი ი. დ. ტატიშჩევი, გენ.-ლეიტ. ნ. ფ. ტუტოლმინი, კორპუსის კომანდირი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე და სხვა წარჩინებულნი. დოღი ნაშუადღევის 2 საათზედ დაიწყო, პირველად სამი ცხენი გამოუშვეს დოღში. ამათში დანიშნულს ალაგას ყველაზედ ადრე მოვიდა თავ. ახლო ტუგანოვის ცხენი „ელბრუს 2“ და მიიღო 400 მანათი. მეორედ მოვიდა თავ. ს. წერეთლის ცხენი „კაი გოგო“ და მიიღო 100 მან. მეორე დოღში ორი ცხენი იყო ჩაწერილი: ი. ქარუმოვის „ფენიქსი“ და ა. აიდემუროვის „ნადეჟდა“. „ფენიქსმა“ აიღო 275 მან. და მეორემ 125 მან.

მესამე დოღზედ ჩაწერილი იყო სამი ცხენი. პირველად დანიშნულ ალაგას მოვიდა ახლო ტუგანოვის ცხენი „ვალენტი 2“ და მიიღო 50 მან. და მეორედ ა. ლისტოვსკის „როზალია“ და მიიღო 30 მან.

მეოთხე დოღზედ ჩაწერილი იყო 6 ცხენი და ამათში პირველად მოვიდა ანზაროვის ცხენი. ბოლოს ჯირითი გაიმართა. კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწემ ჯირითში გამარჯვებულთ საჩუქრები დაურიგა.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შესწირეს: 1) ბ-ნმა წითლანაძემ 16 ძველი შავი ფული, 2) ქ-ნმა მარიამ ბერიძისამ ორი ფურცელი ქართულის ხელ-ჩართულის ნიმუშებისა და 3) ბ-ნმა თ. სახოკიამ—უკაზი იმპერატორის ალექსანდრე I-ისა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, ორი ფურცელი სხვა-და-სხვა ძველის ხელნაწერისა და ერთი წერილი მღ. დავით მესხიშვილისა 1834 წ. თებერვლის 20 თარიღით.

საზოგადოების გამგეობა მადლობას უძღვნის შემწირველთ.

*** ერთს ყმაწვილს კაცს უთარგმნია და დაუმზადებია დასაბეჭდად გარიბალდის რომანი „გორდიუსის ნასკვი და დამოკლესის მახვილი“.

*** დაიბეჭდა ჴ გამოვიდა კიდეც „მაკბეტი“, შექსპირისა, თარგმნილი ინგლისურით თ. ივ. მაჩაბლის მიერ.

*** სოფლის დებულება ვალადა სდებს დროებით ვალდებულს გლეხს აძლიოს თავისს ბატონს მეოთხედი მიწის მოსავლისა, ხორბალი იქნება, თუ ყურძენი, სულ ერთია. უმეტნაკლებოდ მოთხოვნილება კანონისა ყველგან სრულდება, არავის უარი არ უთქვამს, კანონის წინააღმდეგ უკმაყოფილება არ გამოუცხადებია, მაგრამ ისეთი შემთხვევაც იყო ორი სამი, რომ საქმემ უმართებულესს სენატამდე მიაღწია, რომელმაც განიხილა სადავო საქმე, გადასწყვიტა და ამ დღეებში გარდაწყვეტილება ბრძანების უკაზით აცნობა ტფილისის საგლეხო საკრებულოს.

აი ერთი მაგალითი. გლეხს „ნადელში“ აქვს სახნავი მიწა; კანონის ძალით, მებატონეს უნდა აძლიოს მეოთხედი, რასაც-კი დასთესავს. გლეხი სახნავ მიწაში აშენებს ვენახს. მებატონე თხოულობს მეოთხედს მოსავლისას ღვინით. გლეხი უარზეა. „უსტავნი გრამატაში“ ეგ მიწა სახნავადა მაქვს მოცემული და მეოთხედში პური უნდა ვიხადო და არა ღვინოო. იწყება დავა-საჩივარი. საგლეხო საკრებულომ ასე შეჰხედა ამ საქმეს. გლეხი მოვალეა კანონის ძალით აძლიოს მეოთხედი ყოველ გვარი მიწის მოსავალი, რასაც-კი გლეხი მოიყვანს „სანადელო მამულში“. ყურძენიც ამ გვარი მოსავალია, მაშასადამე მეოთხედი ღვინით უნდა მიეცეს მებატონეს და არა პურით, როგორცა ჰფიქრობს მომჩივანიო.

ასეთ განაჩენზედ გლეხმა საჩივარი მიართვა უმართებულესს სენატს. საჩივარში ნათქვამია, რომ სადავო მამული სახნავად მიწერია „უსტავნი გრამოტაში“ და არა ვენახად, ვენახი გავაკეთე ჩემის საკუთარის შრომით და მებატონეს უფლება არა აქვს მეოთხედში ღვინო მომთხოვოსო.

სენატმა არ შეიწყნარა საჩივარი გლეხისა და დაამტკიცა საგლეხო საკრებულოს განაჩენი.

რასაკვირველია, აქ იგულისხმება ის ვენახები, რომელიც გაუშენებიათ გლეხებს ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, და არა ის ვენახები, რომელიც „ნადელად“ აქვთ მიცემული.

*** მთა (საქართველოს სამხედრო გზა): თუმცა ეს 4 წელიწადია, რაც აქედამ მთავრობამ გველეთის მცხოვრებნი, 50 კომლამდე მაჰმადიანი ქისტები, განდევნა ქურდობისა და ავაზაკობის გამო, მაგრამ აქ მარტო იმათის განდევნით ქურდობა არ შემცირდა. ისე წელიწადი არ გავა, რომ ჩვენს მახლობლად მოსახლე ბარიახელებმა გზებზედ მოსიარულე მეურმეებს ან ხარ-ცხენი არ მოჰპარონ, ან სხვა რომელიმე ნივთი არ აუჰრან ურმიდგან. საძოვრიდგან ხომ ისე არ იქნება, რომ ყოველ წელს არ დაიპარონ რამდენიმე ხარი და ცხენი. წელს, მკათათვის, 28-ს ართხის მთიდამ გარეკეს 4 ცხენი. რადგანაც ცხენების პატრონებმა მალე გაიგეს, სამმა სნოველმა (ღუდუშაურებმა) გაუარეს ჯარიახის გადასავალში წინ, შეუკრეს გზა და ღამე ქისტებსა და მოხევეებს მოუხდათ სროლა თოფებისა. მეორე დღეს, როგორც აღმოჩნდა, ქისტებიცა და მოხევენიც ჩასაფრებულები ყოფილიყვნენ და ამიტომ ერთი ერთმანეთისთვის ვერა ევნოთ რა. ქისტებს ცხენები დააყრევინეს და იმათ საფარში იპოვეს თოფის ჩული და ერთი ურძნის ჯოხი. მეორედ, ამავე ხეობის მცხოვრებნი (არწიელი) ქისტნი კიდევ გადმოსულიყვნენ და იმავე მთიდამ ენკენისთვის პირველში გაერეკათ რვა ცხენი და ერთი ხარი, მაგრამ, სამწუხაროდ პატრონთა, თავიანთი საქონელი მეოთხე დღეს-ღა მოიკითხეს და ქისტ არწიელებს-კი ამ ოთხის დღის განმავლობაში საკმაოდ შორს მიეფარებინათ ხარ-ცხენები.

მოხევეთა მდევარმა კვალი არწიელებზედ მიიტანა, მაგრამ სოფელი უარზედ არის, ჩვენ არა ვიცით რაო, ამაზედ საჩივარია და ვნახოთ, რა გამოვა. ჩვენი ხალხი მაინც წინანდებურს ვაჟკაცობას და მამაცობას ვეღარ იჩენს და ლამის არის დედაკაცებს დავემგზავსოთ. ამ ქისტების გადასავალს მთას ერთად-ერთი გზა აქვს და უამგზოდ, რომელსაც ხდის გადასავალს უწოდებენ, ვერც ერთს მხარეზედ ვერც გადმოვლენ ჩვენკენ საქურდლად და ვერც რამეს ნაქურდალს გარეკავენ. ამ გზაზედ წინად ქართველების მეფეების დროს და ნელადობამდე (?), რუსის დროსაც მოხევეთა ყარაულები იყვნენ ხოლმე ჩაყენებულნი და მტერიც ვერაფერს უბედავდა. ეხლა-კი არც ერთი წელიწადი ისე არ გავა, რომ ორი-სამი ქურდობისა ჴ ტაციაობის შემთხვევა არ მოხდეს. ეხლაც გასაჭირი არ იყო მოხევეთათვის ზაფხულობით ორიოდე ყარაულის ჩაყენება, რათა უჯავრელად ჰყოლოდათ თავიანთი ხარ-ცხენი.

*** კარალეთი (გორის მაზრა): ხოლერა ივლისს გვესტუმრა და 20 აგვისტომდე გასტანა. წამალს დროზე ვაშველებდით ავადმყოფებს. ბ-ნ სტრადოვსკის კოლინჯზე დაყენებული 95-° სპირტი ჩვენთვის უებარი წამალი აღმოჩნდა. სულ გახდა ხოლერით ავად 24, გარდაიცვალა 12 და ამდენივე მორჩა: ამათში 13 მამაკაცია და 11 დედაკაცი.

*** სოფ. მეჯვრისხევი: 5 ოქტომბერს. ხოლერის გამო მეჯვრიხეველმა თავად-აზნაურობამ, სამღვდელოებამ და შიგა და შიგ გლეხ-კაცობამ ერთს კრებაზედ გადასწყვიტეს, ოც-და-ათი თუმანი ფული გამოეღოთ ექიმისა ან ფერშლის დასაქირავებლად და წამლების საყიდლად. ამორჩეულმა კომისიამ გააწერა ფული, შეჰკრიბა, (თუმცა ბევრმა არ მისცა), და ზოგი წამალი იყიდეს ამ ფულით, ზოგიც სახელმწიფოდ გამოგზავნილს ექიმს მოახმარეს სასმელ-საჭმელისათვის და მზარეულის დასაჭერად ერთის თვის განმავლობაში. რადგანაც ბევრს ეჭვი აქვს, არ დაიხარჯებოდა სასმელ-საჭმლისთვის ამდენი ფულიო, და ამის გამო მითქმა-მოთქმაა, ამიტომ ცუდი არ იქნება ფულის შემკრებლებმა ანგარიში წარუდგინონ საზოგადოებას, რაზედ დაიხარჯა ის ფული, რა დარჩა და დანარჩენი რას მოხმარდება.

*** ქართლი: აქეთ ახალ მოდის ღვინის მოვაჭრენი აღმოჩნდნენ. ერთი ამათგანი სოფ. მეჯვრისხევში არე-მარეს დაპარპაშებს. ეს ვაჟბატონი აგერ მესამე წელიწადია, მოატანს თუ არა შემოდგომა, დაურიგებს გაჭირვებულს გლეხ-კაცებს ფულს თუმანს კოკა ტკბილად და ორის თვის განმავლობაში ფულსაც იბრუნებს და კოკა ტკბილსაც. აქეთ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ტკბილი კოკა ოთხ-ხუთ მანათ ნაკლებ გაყიდულიყოს, რაც უნდა დიდი მოსავალი იყოს, და ამ რიგად თუმანს ორს თვეში ხუთს მანეთს აგებინებს. გლეხ-კაცი, როცა გაჭირვებულია, არა ჰფიქრობს, თუ რამოდენა სარგებელი უნდა მისცეს და სიხარულით იღებს ვალად რამდენსამე თუმანს. ამ კაცს საქმე მაგრად უჭირავს, ასე რომ ფულის დაკარგვის ფიქრიც არა აქვს. სულ ცოტა, წელიწადში ას თუმანს იღებს მარტო სარგებელს. უკანასკნელი, ორას-სამასს კოკას ღვინოს ჩაასხამს ხოლმე ყოველს წელს.

*** ქვედა-აჭარის სოფ. ქედადგან შემდეგი საყურადღებო წერილი მოგვივიდა და აქავე ვბეჭდავთ სიტყვა-სიტყვით:

„გაზეთ „ივერიაში“ ჩვენ წავიკითხეთ რამდენიმე წერილი ქართველ მაჰმადიანების შესახებ. წავიკითხეთ აგრეთვე ქედაში სკოლის გამართვის ნატვრაც. ამაზედ ეფენდიმ მოგახსენებთ შემდეგს; მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს, ჩვენმა ძმებმა ქართველ ქრისტიანებმა ყურადღება მოგვაქციეს და ჩვენთვის წიგნებიც დაბეჭდეს „მუჰამედის ცხოვრება“, ლოცვები და სხვანი. ღმერთმა იცის, რომ დიდად მოწადინებულნი ვართ ჩვენსა და თქვენ შუა ძველებური სიყვარული გაცოცხლდეს და ამით ერთმანეთის პატივისცემა და შველა ვიცოდეთ. ჩვენც ძველად ქართველები ვიყავით; როგორც თქვენი, ჩვენი საყვარელი ქვეყანაც საქართველოა, ჩვენი სამშობლო ენაც ქართულია, მხოლოდ რჯულით ჩვენ გახლავართ მაჰმადიანნი. აქამდის ჩვენ ოსმალოს ხელში ვიყავით. თამარ მეფის დროს აჭარლებმა ბევრი წვალება, ტანჯვა და მწუხარება გამოვიარეთ ოსმალის ხელში, მაგრამ ბოლოს შევერთდით ერთად. დღეს ჩვენ ერთ საყვარელ ძმებად ვიმყოფებით, ერთი სისხლი ვართ, ერთი ფადიშაჰი გვყავს, მხოლოდ ჩვენ

თქვენთან გაცილებით შორსა ვდგევართ და ჩვენ დიდათ ვართ დავარდნილი და დაცემულ-დაფუხარებული. ჩვენ ჩვენი პატრონობა არ შეგვიძლიან, თქვენ ხართ ჩვენი პატრონი, დღეს ჩვენი პატრონი არავინ არის და მოგმართავთ, თქვენ, ჩვენო საყვარელო ძმებო, და გევედრებით, რომ ქედაში სკოლა გაგვიმართოთ. ამ სკოლის გამართვით თქვენ დიდს დავალებას დაგვდებთ და იმედია, რომ ამას არც ჩვენ დავივიწყებთ, ჩვენთვის, ქართველ მაჰმადიანებისთვის რომ ქედაში, ამ აჭარას დიდს ადგილს, სკოლა გაგვიმართოთ და დაგვიხსნათ ათას ნაირის გაჭირვებისაგან მომავალში. კარგი სკოლა აჭარისთვის წამალი იქნება. მის საშუალებით აქეთ ქართული კითხვა უფრო განმტკიცდება. იმედია, რომ ჩვენს თხოვნას შეიწყნარებენ, შეიბრალებენ ამოდენა ქართველ მაჰმადიანთა შვილებს და ქედაში სკოლას გაგვიმართავენ. ჩვენ გაჭირვებას, ბატონო, ჩვენი ენა ვერ მოგახსენებთ, ვიდრე თქვენის თვალით არა ჰნახავთ. აბდულ ეფენდი მიქელაძე“.

*** ყვირილა: 27 სექტემბრის ღამეს შორაპნის მაზრის სოფელს სეზონს შემაძრწუნებელი ამბავი დატრიალდა. ამ მაზრას თავისსავე მამულში მცხოვრები ლევან ივანეს ძე აბაშიძე მოკლულ იქმნა ავაზაკების მიერ. რევოლვერი თავში ჰქონდა მოხვედრილი. ჯერ არავინ იცის, რამ აიძულა ავაზაკნი, ეს კაცი მოეკლათ. მოკლულის სადგომიდგან არაფერია წაღებული, სულ ხელუხლებლად დაუტოვებიათ. („Н. О.“).

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ამ დღეებში ბორჯომში განსვენებულის დიდის მთავრინა ოლგა თევდორეს ასულის სახსოვრად ასაგებ ნიშის საძირკველს აკურთხებენ. ქალაქიდგან ბევრნი მიდიან ამ დღესასწაულზედ დასასწრებლად.

*** ხვალ, 7 ოქტომბერს, ბორჯომიდგან ყარაიაზს გაემგზავრება დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე. („Кавказъ“-ი)

*** 29 სოქტემბერს ბაქოში ცეცხლი წაეკიდა ტაგიევის ქარხანას და ძლიერ დააზიანა. გაზეთ „Каспій“-ს სიტყვით, ზარალი 60,000 მანათამდეა.

*** იგივე გაზეთი სწერს: „ბაქოს სარკინის გზო სამკურნალოში მიიყვანეს ავადმყოფი კნუტოვი, რომელსაც ციმბირის ჭირი აღმოაჩნდა“.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ ბაქოს ერთს ქუჩაზედ, ჯაფაროვის სახლში, ვიღაც დანიელ ვასკანოვმა, ქ. შუშას მცხოვრებმა, სამი ქალი მოჰკლაო.

*** ოზურგეთის სამაზრო სამხედრო საკრებულო აცხადებს, რომ ამა მიმდინარე წელიწადს ყმაწვილ-კაცები გაწვეულ იქნებიან სამხედრო ბეგარის გადასახდელად: ბათუმის ოლქში: ქალაქს ბათუმს 9 ნოემბერს. ართვინის ოლქში ქალაქს ართვინს 1 ნოემბერს. ოზურგეთის მაზრის 1 მისაწვევს ნაწილში ქალაქს ოზურგეთს 18 ნოემბერს. 2 ნაწილში დაბა ჩოხატაურს 30 ნოემბერს. 3 ნაწილში ლანჩხუტს 14 დეკემბერს.

—

**შეცდომის გასწორება.** კვირის ნომერში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი, რომ ნიკოლოოზის ქუჩაზე მცხეთობა დღეს მაჭავარიანის გატეხილ დუქნიდგან გაიტანეს ქურდებმა 200 მან. ნივთეულობაო. ეხლა ნამდვილად შევიტყეთ, რომ ქურდებს წაუღიათ 140 მან. ნაღდი ფული და 306 მან. ვერცხლეულობა. სულ 455 მანეთისა.

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ მცირე ჯამაგირით გასილი მჭედლიშვილი.

გადაყვანილ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენა თავადი მიხეილ წერეთელი ყარსის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ და ივანე კაკაბაძე ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ.

დათხოვნილ იქმნა თავისისავე თხოვნით, სადგურის ზედამხედველი, კოლეჟსკი რეგისტრატორი ივანე ბასიშვილი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დაბა ყვარელი** (თელავის მაზრა): ადგილ-მამულების სიცოტავემ გამოიწვია აქაურს შეძლებულსა და შეუძლებელ მკვიდრთა შორის შური და მტრობა. ჩვენში, როგორც ყველგან გლეხობაში, შეძლებულ კაცად ის ითვლება, ვისაც, მუშა საქონელს გარდა, კიდევ ბევრი სხვილ-ფეხი ანუ წვრილ-ფეხი (მოცადი) საქონელი ჰყავს; შუათანა კაცად ითვლება ის გლეხი, ვისაც მარტო მუშა საქონელი ჰყავს, და ღარიბ-ღატაკ კაცად ითვლება ისა, რომელსაც საქონელი სრულიად არა ჰყავს.

ძველის ძველადგანვე აქაური ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ყოველთვის ღარიბ-ღატაკი გლეხი შეძლებულ კაცის ხელქვეითი და მონაა. აი როგორ: ვენახი აქვს გასაკეთებელი ღარიბს კაცს, უსაქონლოდ ვერ აკეთებს; მოსახნავი აქვს, უსაქონლოდ ვერ მოჰხნავს; გასალეწი მოუვა რამე, მაინც უსაქონლოდ ვერ გაჰლეწავს და სხვა ამ გვარი.

ამისთანა შემთხვევაში ღარიბმა უნდა მიჰმართოს შეძლებულს და ეს უკანასკნელიც, რასაკვირველია, იაფად არ დაუსვამს ღარიბს გლეხს საქონლის თხოვებას. თუ შეძლებულმა ერთხელ დაუთმო საქონელი ღარიბს კაცს, თითონ კიდევ ათჯერ ან თხუთმეტჯერ წაიყვანს იმას თავის საქმეზედ სამუშაოდ; თუ ერთი ორიოდე დღიური მოუხნა, მთელი შემოდგომა და გაზაფხული უნდა ატაროს გუთანზედ; თუ ერთის ან ორის დღიურის მოსავალი გაულეწა, თითონ უნდა მთელი კალოობა თავისს კალოზედ გაატარებინოს და სხ... ამასთან ისიც სახეში მისაღებია, რომ შეძლებული, სანამ თავისს საქმეს რიგიანად არ შეასწორებს, მინამ ღარიბს ყურსაც არ ათხოვებს. აქედგან აშკარაა, რომ ღარიბი კაცი მთელს წელიწადს ყმადა ჰყავს შეძლებულ კაცს. ღარიბ-ღატაკი კაცი ჰგრძნობს თავისს მდგომარეობას და ყოველ ნაირს ღონისძიებასა ჰხმარობს, როგორმე თავი დაიხსნას. მან პირველადვე უკმაყოფილება გამოაცხადა საქონლის თარეშზედ. როგორც მუშა, ისე კიდევ სხვა საქონელი (ცხვარი, ღორი, ძროხა და სხ.) აქაურს მინდვრებში დადიოდა საძოვრად. აქაური მინდვრები ვერ იტევდა ურიცხვ საქონელს და მინდვრებში რომ ველარა ძღებოდა საქონელი, მწყემსები სცდილობდნენ ვენახებში ან ჭირნახულებში ეტარებინათ საქონელი და მალვით ეძოვებინათ. ხშირად მოხდება, რომ ვენახის ან ჭირნახულის პატრონი მოასწრობს სხვის საქონელს თავისს მამულში და ასტეხს ერთს ჩხუბსა და დავიდარაბას. თითონ ერთმანეთში სოფლის მოხელეთა დახმარებით რომ ველარა რიგდებოდნენ, მიჰმართავდნენ ხოლმე სამაზრო ადმინისტრაციას. სამაზრო ადმინისტრაციამაც მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და დაუწერა განსაკუთრებული ნიხრი წანახედისათვის გადასახადისა, მაგრამ ამისთანა ღონისძიებამ მაინც ვერ დააკმაყოფილა ღარიბნი მცხოვრებნი, რადგანაც წანახედი მხოლოდ მაშინ უნდა გადაეხადნა საქონლის პატრონს, როდესაც მამულის პატრონი თავისს მამულში მოასწრობდა საქონელს და მწყემსს რაიმე გირაოს წაართმევდა. უფრო ხშირად-კი თითონ მამულის პატრონი ვერ ასწრობდა სხვის საქონელს, ხოლო მეზობლისგან ან მოკეთისაგან იტყობდა, რომ მავანისა და მავანის საქონელს იმის მამული გაეტიალებინაო. ამიობაში მამულის პატრონი შურსა და მტრობას იდებდა გულში როგორც მწყემსისას, აგრეთვე საქონლის პატრონისას. მოატანდა სადმე თუ არა მამულის წამხდენელს მწყემსს, უცემელს არ გაუშვებდა და მწყემსი კიდევ მიდიოდა და სათივეს ან საბძელს უწვამდა თავისს გამლახველს. ხან კიდევ მამულის პატრონი რომ ვერ შეიძლებდა წანახედის ფასის გამორთმევას, რადგანაც სოფლის მოხელეთ ხშირად უფრო შეძლებული გლეხების მხარე ეჭირავათ, მიდიოდა საბძელს, სათივეს, ან სახლს უწვავდა საქონლის პატრონს.

ასე და ამ რიგად ისე გახშირდა ჩვენს სოფელში ცეცხლის წაკიდება, რომ მარტო ერთს 1891 წლის ზამთარს უკანასკნელი 40 საბძელსა და სათივეზედ მეტი გადასწვეს. კიდევ კარგი იქმნებოდა, რომ მარტო ამითი თავდებოდეს საქმე. არა, ვენახების ძირიანად გადაჭრამ გადააჭარბა საბძელ-სახლებისა, ძნებისა და სათივეების გადაწვა-გადაბუგვას. იმავე 1891 წელს ასობითა და ათასობით აჰქონდათ ურმებით თელავში მაზრის უფროსთან მოჭრილი ვაზები. რამდენი კიდევ ვენახებში რჩებოდა!? ვინ დასთვლის, კიდევ რამდენი მოჭრილი ვაზი ამოჰქონდათ ვენახებიდგან აქაურს სასოფლო კანცელარიაში! ამით კარგა დიდი ზარალი ეძლეოდა მთელს საზოგადოებას. სამაზრო ადმინისტრაცია რომ მობეზრდა ამდენის საჩივრისაგან სულ ვაზის გადაჭრისა, ქურდობისა და გადაწვა-გადაბუგვის თაობაზედ, გადასწყვიტა დაენიშნა ყვარელში „ჩინოვნიკი“ ვინმე მამასახლისად. ნება-რთვაც ითხოვა საგუბერნიო მთავრობისაგან და კიდეც მოუვიდა ნება. დაჰნიშნეს მამასახლისი, რომელსაც უნდა მისცემოდა ყვარელის საზოგადოებისაგან 600 მან. ჯამაგირი წელიწადში. მამასახლისად დაჰნიშნეს თელავის სამაზრო კანცელარიაში მწერლად ნამყოფი ბ. ნარეკლიშვილი... იმედია, მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი მიაქცევს ყურადღებას საქონლის თაობაზედ გამართულს ბრძოლას, სოფლის ყრილობის გარდაწყვეტილებისამებრ საქონელს აქაურს მინდვრებში არ ატარებინებს და მით მოსპობს შურსა და მტრობას შეძლებულ და შეუძლებელ მკვიდრთა შორის.

ლ. მ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

**რენანის დასაფლავება 26 სექტემბერს:**

რენანის დასაფლავება ჩინებულად მოეწყოთ. Collége de France-ს მთელი ეზო დაფენილი იყო შავის მაუდით. შუა ეზოში მშვენიერ ამფოანის ქვეშ იდგა კუბო მიცვალებულისა. კუბო და ამფოანი მორთული იყო მშვენიერის გვირგვინებით. მათ შორის ჩინებული იყო გვირგვინები გაზეთ „Intransigeant“-ისა, „Journal des Débats“-ისა და სხვ. დასაფლავებას დაესწრნენ: გენერალი Boriue-ი (რესპუბლიკის პრეზიდენტის მაგიერ), დეპუტატთა პალატის პრეზიდენტი, ყველა მინისტრები, სენატის პრეზიდენტი, პარიჟის საბჭო, მთელი აკადემია, სენატორნი, დეპუტატი და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. დასაფლავების დროს სიტყვა წარმოსთქვეს: ბ-ნებმა ბურჟუამ, ბუასსემ, პარისმა და ალექსანდრე ბერტრანმა.

ხალხში სულ რენანზედ იყო ლაპარაკი. აგონდებოდათ რენანის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რენანის ჩვეულებანი და სხვანი. სხვათა შორის, აი რა სთქვა „Matin“-ის ერთმა რეპორტერმა: „როცა რაიმე შესანიშნავი ამბავი მოხდებოდა, იმ წამს რენანთან მივდიოდი ამ ამბის შესახებ მისის აზრის შესატყობად და შემდეგ ამ აზრს გაზეთში ვბეჭდავდი ხოლმე. თხუთმეტჯერ ვიყავი რენანთან. ჩემთან მუსაიფი ალბად მოსწყინდა და, მეთექვსმეტედ რომ მივედი, მეგობრულად გამომხვია ხელი და მათხრა: „მოწყალეო ხელმწიფევ! ჩვენ ეხლა საკმაოდ გავიცანით ერთმანეთი. თქვენ დაახლოვებით იცით ჩემი აზრი სხვა-და-სხვა საგნის შესახებ. ამიტომ გთხოვთ, როცა რამე ამბავი მოხდეს, ჩემის აზრის შესატყობად ნუღარ შესწუხდებით და რაც გენებოთ, ისა ჰბეჭდეთ გაზეთში. გაძლევთ სიტყვას, რომ თქვენ მიერ დაბეჭდილს ვითომდა ჩემს აზრს მე არასოდეს უარს არა ვყოფ“.

რეპორტერმა სთქვა: მას აქეთ ყოველთვის ასე ვიქცეოდი და რენანს არც ერთხელ არ უთქვამს, გაზეთში დაბეჭდილი აზრი მე არ მეკუთვნისო...

როცა რენანის გვამი მიწას მიაბარეს, წვიმა დაუშო. დილიდგან-კი, ვიდრე Collége de France-იდგან სასაფლაომდე გაატარეს და დაასაფლავეს, კარგი დარი იყო და ამ გვარად რენანის ანდერძის სიტყვები: „ესოდენ სასიამოვნოდ გავისეირნე ამ სოფლად“-ოო სრულიად გამართლდა, რადგანაც რენანის დასაფლავების დროს ჩინებული დარი იდგა.

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

ამასთანავე გიგზავნი ჩემ მიერ შეკრებილს ფულს 64 მან. 10 კაპ. განსვენებულის დ. ი. ყიფიანის ძეგლის ასაგებად. აი სია შემომწირველთა:

თ. გ. ო. ყიფიანი 20 მ., თ. ლ. ო. ყიფიანი 3 მ., თ. დ. ყიფიანი 3 მ., დ. ყიფიანი 1 მ., თ. ა. ო. ყიფიანი 3 მ., თ. ლ. ნ. ყიფიანი 1 მ., თ. მ. ნ. ყიფიანი 1 მ., ე. გ. ყიფიანი 2 მ., აზნ. ა. მ. კვიტაშვილი 1 მ., ი. კვიტაშვილი 1 მ., ალ. კვიტაშვილი 1 მ., ე. თუთბერიძე 1 მ., მ. ნ. ჯაფარიძე 1 მ., მღვდელი ნ. მინდელი 1 მ., ნ. ე. მრელაშვილი 3 მ., მაზრის ექიმი ა. ფანიევი 3 მ., აზ. ა. კვკრიაშვილი 1 მ., თ. ს. გურგენიძე 1 მ., გ. გ. ბოჭორიშვილი 1 მ., ი. თ. დვალი 1 მ.; მ. ა. ჩიკვაიძე 1 მ., გ. ბაქრაძე 1 მ., ა. ჯაფარიძე 50 კ., გ. ა. გოცირიძე 1 მ., ა. ო. გოცირიძე 2 მ., თ. მ. ჯაფარიძე 1 მ., თ. ს. გ. ჯაფარიძე 1 მ., მ. ნ. ჯაფარიძე 60 კ., მ. წერეთელი 1. მ., თ. ა. გ. ერისთავი 2 მ., ლ. გოცირიძე 1 მ., ა. მხეიძე 1 მ. და გ. ს. ბაქრაძე 1 მ. სულ 64 მ. 10 კ.

რ. რ. ყიფიანი

დ. ონი

### II

წაკითხვამ ბ-ნ ჟორდანიას წერილისამ თქვენის პატივცემულის გაზეთ „ივერიაში“ (№ 208 და 209), სწორე მოგახსენოთ, დიდად გვასიამოვნა. გვასიამოვნა იმიტომ, რომ ჩვენის სამშობლოს საისტორიო ლიტერატურა ნელ-ნელა ფეხს იდგამს და სინათლეზედ გამოჰყავს ჟამთა ვითარებისაგან მიფარულნი ისტორიულნი საბუთნი ჩვენის ერის ისტორიულის ცხოვრებისა. ამისათვის მოგართმევთ ცხრა მანათს ფულს გარდასაცემად პატივცემულ თ. ჟორდანიისა ფასად მის მიერ დასაბეჭდის „ქართულ ისტორიულ ქრონიკებისა“ სამის ეგზემპლიარისა, თითოეულს ჩვენგანს სამსამს მანათს.

მღვდელი პ. კარბელაშვილი.
მღ. ვას. კარბელაშვილი.
მღ. ა. მოლოდინაშვილი.

## დეპეშა

4 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრი პეტერბურგში დაბრუნდა და უკვე დაიწყო სამინისტროს მმართველა-გამგეობა.

„Бирж. Вѣд.“ იუწყება, რომ ცარიცინის ზოგიერთმა სავაჭრო ფირმებმა გზათა უწყების სამინისტროში პროექტი წარადგინეს ცარიცინიდგან ასტრახანს გასაყვან რკინის „შტოსიო. ეს შტო 450 ვერსის სიგრძისა იქნება და მისი გაყვანა დაჯდ. 4.500,000 მან.

გაზეთები იუწყებიან, რომ ნოემბრის დამდეგს ბუხარის ემირი პეტერბურგს მიდის 50 წარჩინებულის თანახლებით; ხმა დადის, რომ ამავე დროს ჩამოვა პეტერბურგსავე ხივას ხანიო.

5 ოქტომბერი

**ბრინდიზი.** წარსულს ღამეს მემკვიდრე ცესარევიჩი გემ «ერეკლიკით» ათინას წავიდა.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ოქტომ.

| | მუშტრისა. | გამყიდველისა. | გაურიგდნენ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,92 | 7,95 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 158¼ | 158 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 237½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 218 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 191¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 ,, | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

## ხ ო ლ ე რ ა

მესტვირული შაირები

აკაკისა

ისყიდება შაურად

ტფილისსა, ქუთაისს და სხვაგანაც, ყველგან, სადაც, ან ვისთანაც ქართული წიგნები იშოვება სასყიდლად.

(5—1)

---

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—119)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტიყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |

---



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

## ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее-ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

---

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—39)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 | თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . . | 9 „ 50 „ | | 5 | „ . . . . | 5 „ 50 „ |
| 10 | „ . . . . | 8 „ 75 „ | | 4 | „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 | „ . . . . | 8 „ — „ | | 3 | „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . . | 7 „ 25 „ | | 2 | „ . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 | „ . . . . | 6 „ 50 „ | | 1 | „ . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

---

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

---

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

## თამბაქოს ფაბრიკა

ნიკოლოზ ივანეს ძის ბოზარჯიანცისა

**ტფილისში**

არსებობს 1858 წლიდგან.

მივაქცევ პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას ჩემს ფაბრიკაში საფრანგეთის საუკეთესო ქაღალდით მომზადებულს დაუწებებელს პაპიროსს, რომელიც კეთდება განსაკუთრებულის მაშინებით, ძალიან რიგიანადა და სუფთად. ამ გვარად მომზადებულს პაპიროს, ბ-ნთ მომხმარებლებს სახამებლის არა-სასიამოვნო გემოს აცილებს თავიდგან.

ახალად მივიღეთ დიდ-ძალი საუკეთესო ოსმალეთის სურნელოვანი თამბაქო, რომელსაც პაპიროსადაც ვაკეთებთ, თამბაქოდაც ვყიდით ყოველ შემომკვეთლის გემოვნების, დიდად ზომიერ ფასად.

შემომკვეთლებს შეუძლიანთ მიჰმართონ სასახლის ქუჩაზედ, № 1.

(10—10)

---

## საკომერციო კურსები

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1892—93 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი ორ-კაცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე თრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ჰ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—80—17)

---

იოსებ ი. გოკიელოვის მაღაზიაში

## ქუთაისში

ისყიდება მოსწავლეთა რვეულები (ტეტრადები) კარგის ხარისხისა.

თითო 3 კაპ.

**ასობით** 2 მ.—50 კ.

აგრეთვე მცირე ფასებად მოსწავლეთა ყველა კუთვნილებანი.

(20—116—12)

---

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

(10—5)

---

новая политическая
## карта европы,

чрезвычайно удобная для справокъ при чтеніи газетъ и журналовъ.

**Цѣна 1 рубль съ пересылкой.**

*Москва, у издателя Θ. И. АНСКАГО, Малая Лубянка, д. Ивановскаго монастыря.*